ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ვახტანგ ვაჭარაძის მოსახლეობასთან შეხვედრის

ოქმი

ქ.ხონი 13 ოქტომბერი 2022 წელი

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა კუხის თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვახტანგ ვაჭარაძემ გამართა შეხვედრა სოფ. კუხისა და ახალშენის მოსახლეობასთან. შეხვედრას ესწრებოდნენ კუხისა და ახალსენის თემში მცხოვრებნი.

შეხვედრის დღისწესრიგი: ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კუხის თემის მაჟორიტარი დეპუტატის ვახტანგ ვაჭარაძის 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენა.

შეხვედრის თავმჯდომარემ ვახტანგ ვაჭარაძემ მოსახლეობას წარუდგინა 2022 წელის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში შეხვედრაზე მან აღნიშნა, რომ 2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 1 ნოემბრამდე გაიმართა საკრებულოს 20 სხდომა. საკრებულოს სხდომებზე განიხილებოდა ის საკითხები, რომელიც მუნიციპალიტეტისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ასევე მან განმარტა, რომ საკრებულომ მხარი დაუჭირა რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელ ინფრასტრუქტურულ პროექტებს და ამასთან ერთად განხორციელებულ იქნა 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილებები, რაც განაპირობა მუნიციპალიტეტში განხორციელებულმა ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსებამ. ვახტანგ ვაჭარაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოს სხდომაზე ხორციელდებოდა საქმიანი დებატები, რაც ხელს უწყობდა საკრებულოში შემოტანილი პროექტების დახვეწას და მორგებას რეალობასთან.

შეხვედრის თავმჯდომარემ ვახტანგ ვაჭარაძემ ასევე ისაუბრა კუხისა და ახლშენის ტერიტორიაზე ჩატარებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებაც. ანგარიშის წარდგენის შემდეგ ვახტანგ ვაჭარაძემ მოისმინა მოსახლეობის მიერ გამოთქმული მოსაზრებები. მათ გაამახვილეს ყურადღება სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე. საკრებულოს წევრმა აღუთქვა მოსახლეობას აღნიშნული საკითხების მოგვარება. მოსახლეობის მხრიდან დასმული იქნა კითხვები სხვადსხვა საკითხებზე. ვახტანგ ვაჭარაძემ დასმულ შეკითხვებს ამომწურავად უპასუხა და დაპირდა მოსახლეობას, რომ შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმარებოდა მათ პრობლემების მოგვარებაში. ამის შემდეგ შეხვედრა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე: ვახტანგ ვაჭარაძე

სხდომის მდივანი: ლელა ჯანელიძე